საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 18 1921 წ. სამშაბათი მარტის 22 (9) წელი

სოციალისტ-ფედერალისტი

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება სახელმწიფო მოკავშირეებათა შეწყვეტის თაობაზე

მოგვყავს სრული ტექსტი შეთანხმებისა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის თაობაზე დემოკრატიულ მთავრობისა და ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის შორის.

„საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის რწმუნებული გრ. ლორთქიფანიძე და საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის რწმუნებული მამია ორახელაშვილი 1921 წლის მარტის 17-18-ს შეხვდნენ ერთმანეთს ქალ. ქუთაისში და რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით და იმავე რესპუბლიკის მეორე წარმომადგენლის ალექსანდრე სვანიძის-მონაწილეობით შეთანხმდნენ შემდეგში:

1. საბჭოთა მოქმედება დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნას.

2. დემოკრატიული მთავრობა აუქმებს თავის ფრონტს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ანთავისუფლებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და ხელს უწყობს რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს. ბათუმის ოლქში შესვლას ამ ოლქის დასაჭერად და დასაცავად გარეშე მტრების შემოსევისაგან.

3. სარევოლიუციო კომიტეტის საბჭოთა ჯარების ნაწილები, გაივლიან რა ბათუმს, პირველ ყოვლისა დაიჭერენ ამ ოლქის სამხრეთ საზღვარს.

4. 25 მარტამდე და არა უგვიანეს ამისა ქალაქ ბათუმში. მის რაიონში და რკინის გზის ხაზზე საჯავახოდან-ბათუმამდე და საზოგადოთ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ეხლა უჭირავს დემოკრატიულ მთავრობას რჩება ადმინისტრაცია და ძალა-უფლება ამ უკანასკნელისა.

5. რევოლიუციონურ კომიტეტის ჯარები შედიან ბათუმში, როგორც დემოკრატიულ მთავრობის და მისი ჯარის მეგობრული ძალა.

6. დემოკრატიულ მთავრობის და რევოლიუციონურ კომიტეტის ჯარების საერთო მიზანშეწონილ და საჭირო მოქმედების საკითხი. ბათუმის ოლქის გარეშე მტრებისგან დაცვის შესახებ. გადასწყდა ორივე არმიის სარდლობის მიერ.

7. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არმიის და გვარდიის დათხოვა მოხდება ამ არმიის და გვარდიის სარდლობის განკარგულებით.

8. იმავე სარდლობის განკარგულებით ჩამორთმეული იარაღი და სამხედრო საჭურველი გადაეცემა საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს.

9. ტანსამოსი, რომელიც მოეპოვებათ ჯარის კაცებს, გვარდიელებს და ოფიცრებს, სათანადო დადგენილების ძალით რჩება იმათ საკუთრებად.

10. ყველა სამხედრო პირი მიიღებს კუთვნილ ჯამაგირს ჯარის და გვარდიის დათხოვნის შემდეგ.

11. ჯარის და გვარდიის სარდლობის განკარგულებაში გადაეცემა შესაფერი რიცხვი ვაგონებისა და ორთქმავლებისა ჯარის კაცების, გვარდიელების, ოფიცრების და იმათი ოჯახების სახლში დასაბრუნებლად.

12. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი უზრუნველყოფს ყველა სამხედრო მოსამსახურის ბინას და პირად ქონებას, რისთვისაც საქართველოს რევკომი შესაფერ დახმარებას ადმოუჩენს თავის სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით.

13. სახელმწიფო ქონება, იარაღი, ორთქმავლები, ისტორიული და კულტურული საუნჯე და ყველა დანარჩენი, რაც გადაეცემა რევკომს, რჩება საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებად.

14. საქართველოს რევკომი 1921 წლის თებერვლის 25-ს თავისი ამნისტიის დეკრეტის დამატებით ადასტურებს, რომ არ იქნებიან პასუხისმგებელნი და არც სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნილნი, დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთაგანი არავინ არც სამხედრო მოსამსახურეთაგანი, დაწყებული ჯარის კაცებიან და გათავებული მთავარსარდლით, გვარდიელები, გვარდიის ოფიცრები და შტაბების წევრები, არც ერთი ადმინისტრაციის მოხელე და საზოგადოთ არავინ იმათგანი, ვისაც მოქმედება გამომდინარეობდა მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობისაგან. ეს შუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ მოქმედებებზე, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

15. რევკომი ხელს უწყობს, რომ ყველა ლტოლვილი თავისუფლად და საჩქაროდ დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს.

16. საქართველოს მოქალაქენი—სამხედრო მოსამსახურენი, ჯარის კაცები, თანამდებობის პირნი და ოფიცრები სამხედრო ბეგარას მოიხდიან მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

17. ეს შეთანხმება ძალაში შედის დღიდან ხელის მოწერისა.

საქართველოს რევკომის რწმუნებული მამია ორახელაშვილი, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რწმუნებული გრ. ლორთქიფანიძე. რ. ს. ფ. ს. რ. განსაკუთრებული რწმუნებული აბელ ენუქიძე.

ოპერატიული ცნობა

მარტის 19-ს.

ჩვენმა ნაწილებმა მარტის 18-ს დაიჭირეს ქ. ბათომი. მენშევიკურ საქართველოს მთავრობა იტალიის ბრძანებით ზავიდა სტამბოლში საფრანგეთის ნალმოსნების მფარველობით. ყველა განძეულობა და დიდი ქონება მთავრობამ თან წაიღო. პოლიტიკური ტუსაღები ათასამდე კაცი ციხიდან გამოუშვეს. 17-დან 18 მარტს მოეწყო რევკომი ციხიდან განთავისუფლებულ სერგო ქავთარაძის მეთაურობით. დანარჩენ ადგილებში მნიშვნელოვანი არეფერი მომხდარა.

დეპეშა ბათომიდან.

1921 წ. მარტის 19-ს, 22 საათ. და 55 წუთზე, № 2.

მე-II არმიის მთავარ სარდალს, კავკასიის ფრონტის სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს წევრს **ორჯონიკიძეს**

ჩემდამი რწმუნებული ნაწილები შეეიდნენ ბათომში 1921 წელს მარტის 19-ს 17 საათ. და 18 წუთზე.

ქედასთან და ბაბარის წყალთან მიახლოებისას ქემალისტების სარდლობამ ყოველივე ლონე იხმარა, რამდენიმე საათით ჩვენი წინსვლა შეეჩერებინა, ვითომ-და გაგებლობის მიზეზით. ქალაქ ბათომის ეკეჩებში ბრძოლა არისო. მიუხედავად ამისა, ქალაქ ბათომის დასაპერად წინ გაუშვი კავალერია. გზა და გზა ჩვენ გვხვდებოდნენ თავდაცვაზე ქემალისტები. ზოგი მათ შორის იყო დაჭრილი დაკითხვებიდან გამოირკვა, ვითომ მათ თავს ესხმიან ფრანგები, ინგლისელები და ქართველები, ხოლო ქალაქს უყურებს ესვრიან კრეისერებიდან როდესაც მოწინავე ნაწილებმა ქალაქს მიაღწიეს, მე პარლამენტიორები გავგზავნე. მათი უკან დაბრუნებისას გამოირკვა, რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, საშინლად დაემარ ხებიათ ოსმალოები, რომელთაც განუშრახავთ ქალაქის დაკავება. ნაწილის ოფიციალური ფლობა.

დეკრეტი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიციონურ კომიტეტის თემის რევოლიუციონურ კომიტეტების შესახებ

I. ორგანიზაცია თემის რევკომისა

§ 1. თემის რევკომი წარმოადგენს მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს იმ რაიონის საზღვრებში, რომელსაც იგი განაგებს.

§ 2. ყველა დადგენილება კანონის ფარგლებში თემის რევკომისა სავალდებულოა ამავე თემის მცხოვრებთათვის.

§ 3. თემის რევკომები არსდება იმ ფარგლებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ითვლება არა ნაკლებ 300 და შესდგება 3 წევრიდან.

შენიშვნა: 1. საბაზრო რევკომს უფლება ეძლევა გაამრავლოს ეს შეიმცროს საჭიროების დ�ვარად საერთო სახელმწიფოებრივ მაზტაბით ნაჩვენებ პარაგრაფი მცხოვრებთა რიცხვი, რასაც აუწყებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

§ 4. თემებში, სადაც მცხოვრებნი სამასზე (300) ნაკლებია, ცალკე თემის რევკომი არ არსდება. ასეთი თემები შეერთდებიან მეზობელ თემებს.

§ 5. თემის რევკომის თავმჯდომარე პასუხის მგებელია თავის მოქმედებაში საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ორგანოების წინა ე.

§ 6 თემის რევკომთან არსდება კანცელარია შემდეგი შემადგენლობით: მდივანი 1. საქმის მწარმოებელი 2 კანტორის მოხელე 1. რამტარებელი 1. ასიგნობების ამ შტატის დასაკმაყოფილებლად შეტანილი იქნება შ. ს. ს. კომისარიატის ვარაუდში.

II. გადდებულებანი თემის საბჭოს მართვა-გამგეობისა.

§ 7. თემის რევკომი და მისი თავმჯდომარე ვალდებულნი არიან: ა) შეასრულონ ყველა დადგენილებანი საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ორგანოსი და ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მთავრობის დადგენილებებს მათზე დაკისრებულ საქმის ასრულებაში, ბ) მიიღონ ყოველივე ზომები წესიერების დაცვისათვის და თავისი რაიონების მცხოვრებთა მეურნეობის და კულტურის განვითარებისათვის. გ) მიაღწინოს მონაწილეობა მშრომელ მასსას ახალი ცხოვრების და წყობილების დამყარებაში.

თემის რევკომებს ევალებიან მართვა-გამგეობის დარგში შემდეგი:

§ 8. დაცვა რევოლიუციონურ წესიერებისა და ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან.

§ 9. გამოქვეყნება და განმარტება საბჭოთა მთავრობის ყველა დეკრეტებისა და განკარგულებისა.

§ 10. გატარება ცხოვრებაში ერობის ყოველგვარ ბეგარისა.

§ 11. მცხოვრებთა აღნუსხვა: შეძლებულთა, საშუალო ქონებისა და ულ რიბეს გლეხთა, აღნუსხვა ამმორჩეველთა, წერა კითხვის უცოდინართა და სხვა.

§ 12. რეგისტრაცია უმაღლეს რევკომებიდან და მათი რომელიმე განყოფილებიდან გამოგზავნილ აგენტებისა.

§ 13. გაცემა ყოველგვარ მოწმობისა ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

§ 14. რეგისტრაცია დაბადებულთა და მიცვალებულთა.

§ 15. პაუბის გებაში მიცემა იმ მოქალაქეთა, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ ან დაარღვევენ საბჭოთა მთავრობის განკარგულებას.

სახიფლო მეურნეობის დარგში.

§ 16. ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის (ორგანიზაცია სასოფლო მეურნეობის, სასოფლო სამეურნეო არტელებისა და მიწით სარგებლობის სხვა საამხანაგო ფორმებისა, გაუმჯობესება სასოფლო მეურნეობის წარმოებისა და სხვა. მიწათ-მოქმედების კომისარიატისაგან გამოცემულ ინსტრუქციის თანახმათ.)

§ 17. განხორციელება მიწის მწარმოებლებზე დაკისრებულ ნატურალურ ბეგრისა, მიწის სოციალურათ მოწესრიგებისათვის. (მიწოდება მიწის გამწესრიგებელთათვის საჭირო მუშებისა, ეტლებისა, მასალებისა, ბინებისა, მიწის და სხვა) და აგრეთვე ყოველგვარი დახმარება მათი და აგრონომიულ პერსონალის და მიწათ-მოქმედების განყოფილებაში მომუშავე პირთ მათი მოვალეობის ასრულების დროს.

§ 18 დახმარება ადგილობრივ მეურნეობის და დაცვა სატყეო აგარაკებისა.

§ 19. თვალ-ყურის დევნა, მიწის მომუშავეთა მიერ შესრულებულ იქმნეს გამოცემული კანონები და განკარგულებანი მიწის დამუშავების და მის ხმარების შესახებ.

§ 20. დახმარების გაწევა სათანადო ორგანიზაციების და აღნუსხვის მიწის მომუშავეთა სახნავის, სათესის და ყოველივე სამეურნეო ინვენტარის; წარდგენა აღნიშნულ საკითხების შესახებ ყოველივე მასალებისა დანიშნულ პირთა და დაწესებულებათათვის.

მეურნეობის დარგში.

§ 21. თვალყურის დევნა ხიდების, გზა-ტაეილების და სოფლის გზების მდგომარეობის შესახებ და შეკეთება მათი გარემოების მიხედვით.

§ 22. თვალყურის დევნა ცეცხლის მქრობელ მანქანისა და ლონისძიებათა მიღება ცეცხლის ჩასაქრობათ.

§ 23. დაცვა წახდენისა და განადგურებისაგან საზოგადო სახლებისა.

§ 24. დახმარება შინაურ (კულტურულ) წარმოების განვითარებისათვის და შეძლების დაგვარად თავისმოყრა ადგილობრივ სახელოსნოებისა, არტელებისა და სხვა. თანახმად საბჭოთა მმართველობის პასუხისმგებელ ორგანოების განკარგულებისა.

§ 25. სასურსათო დარგში დაუყოვნებლივ შესრულება ყველა სასურსათო ორგანოების განკარგულებათა.

§ 26. აღწერა მოსავლისა, ნათესისა.

სამხედრო დარგში.

§ 27. აღნუსხვა ყველა ცხენებისა ეტლებისა და მათი მოწყობილებისა თანახმად არსებულ კანონებისა.

§ 28. თვალყურის დევნა სამხედრო ბეგარის მოხდის ვალდებულ მოქალაქეთათვისი მოვალეობის წესიერად შესრულების შესახებ.

§ 29. შეკრება სტატისტიკურ ცნობების და ანგარიშებისა მოქალაქეთა ჯარში გასაწვევად, და აგრეთვე ცხენებისა, ეტლებისა და მათი მოწყობილებისა თანახმად არსებულ კანონმდებლობისა და სამხედრო კომისარიატების განკარგულებათა.

§ 30. მოქალაქეთა ჯარში გაწვევის სისრულეში მოყვანა და აგრეთვე წარდგენა ჯარში ცხენებისა, ეტლებისა და მათი მოწყობილებისა თანახმად არსებულ კანონმდებლობის და სამხედრო კომისარიატების განკარგულებათა.

§ 31. თვალყურის დევნა მცხოვრებთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის აღსრულებაზე და ბრძოლა დეზერტირების წინააღმდეგ.

§ 32. განხორციელება ყველა განკარგულებათა, რომელიც მიმართულია მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლისაკენ.

§ 33. ხელის შეწყობა სოფლათ გზავნილ ორგანიზატორებისა და აგიტატორებისა მცხოვრებთა სამხედრო მომზადების საქმეში.

§ 34. დახმარება სამხედრო ორგანიზაციებისადმი და ჯარის ნაწილებისათვის ბინებისა, სურსათ-სანოვაგისა და გადასატან-გადმოსატან საშუალებათა მიცემის, თანახმად იმ საქმისათვის არსებულ კანონისა.

სახალხო განათლების დარგში:

§ 35. ორგანიზაცია სოფლათა სამკითხველოსი (ანუ სახალხო სახლისა) ბიბლიოთეკა სამკითხველოთა და მათთან საბჭოსი.

§ 36. ორგანიზაცია სამკითხველოსთან (სახალხო სახლთან) გაზეთბროშურების საბჭოს მთავრობის დეკრეტებისა, საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საჯაროდ წაკითხვისა და სხვა საუბარი წაკითხვის შემდეგ.

§ 37. გავრცელება გაზეთებისა, ფურცლებისა და სხვა.

§ 38. დაარსება სამკითხველოსთან (სახალხო სახლთან) წერა-კითხვის სკოლებისა მოზრდილთათვის და მცირე წლოვანთათვის.

§ 39 დახმარება სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა ორგანიზაციისა, მაგ.: წრეებისა, ესპერანტისებისა ლექციებისა და სხვა საგნებზე, მომღერალთა გუნდის და თეატრისა ადგილობრივ ძალების და სხვა.

§ 40. სამხეო ბრძანება დასაწესებლათ. სკოლებისა ყველა წლოვანებისათვის და სკოლის გარეთ დარჩენილთა აღზრდა-განათლებაზე (შეკეთება, განათება, გათბობა და სხვა)

§ 41. მოწოდება შეძლების დაგვარად ყველა ადგილობრივ წერა კითხვის მცოდნეთა სავალდებულო ბეგარაში და კულტურულ განმანათლებელ შრომის ორგანიზაციის საქმეში.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში.

§ 42. თვალყურის დევნა სისუფთავისა და სოფლის სანიტარული მდგომარეობის, განსაკუთრებით სამელი წყლის სათავეების მოწყობასა და გაუმჯობესებაზე.

§ 43. გლეხობისათვის ხელის მოწმობა საზოგადო და კერძო აბანოების მოწყობაში.

§ 44. დახმარება სამკურნალო პერსონალს და ზომების მიღება ეპიდემიასთან ბრძოლაში (აცრა სახადისა, ყვავილისა, ხოლერისა და სხვ.)

§ 45. მზრუნველობა ადგილობრივ სამკურნალოებზე: შეკეთება, შენის დამზადება, სურსათ-სანოვაგის მოწოდება და სხვა.

§ 46. აღნუსხვა იმ გაჭირვებულ მშრომელთა, რომლებიც საჭიროებენ ადგილობრივ და სახელმწიფოსაგან დახმარებას.

§ 47. ორგანიზაცია სავალდებულო სასოფლო-სამეურნეო დახმარებისა მინდვრის დამუშავებაში, დათესვაში და სხვა.

§ 48. დახმარება წითელ არმიელების გაჭირვებულ ოჯახებს და აგრეთვე ავადმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელ ინვალიდებს, ფრონტიდან დაბრუნებულთ ამ ორგანიზაციის საშუალებით, რომელიც მათ სასარგებლოთ მოაგროვებს შემოწირულებას: ფულს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელებს და სხვ.

პასუხისმგებლობა სოფლის საბჭოს წევრებისა.

§ 49. ყურადღებისათვის, საბჭოს მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში უხალისოთ გატარებისათვის, უმოქმედობისათვის, უფლების გადამეტების და ბოროტმოქმედებისათვის, მცხოვრებლებთა ტანჯვათ მოპყრობისათვის, სოფლის საბჭოს წევრნი პასუხს აგებენ რევოლიუციის ტრიბუნალის წინაშე.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სოც. საბ. რეს. შინ. საქ. სახალხო კომისარი ბ. კვირკელია.

დადგენილება

№ 1.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

ყველა თავისუფალი მიწების საგანგებულო დათესვის შესახებ.

რადგან 1920 წლის შემოდგომაზე უამინდობის მიზეზით მეტად მცირე რაოდენობის მიწები იქნება დათესილი და რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება, რევოლიუციონური კომიტეტი საჭიროთ სცნობს დათესილ იქნეს, როგორც ის თავისუფალი ადგილები, რომელიც წარსულ შემოდგომაზე დაუთესელი დარჩა, აგრეთვე გაზაფხულზე დასათესი ყველა ანუ ულები.

ამ საქმის განხორციელების საფუძველად უნდა დაედოს ადგილობრივ მცხოვრებთა ფართე თვითმოქმედება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსებულია მიწების დამთესი დროებითი ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან: საგარონომო დახმარების სექციის გამგე—ა. ავალიშვილი, სახალხო მამულების გამგე—მ. ვახიდიევი, სასოფლო მეურნეობის სპეციალისტი—კ. ნაკაშიძე, ბოლო ადგილობრივად იქნება სამაზრო კომისიები.

ცენტრალურ კომისიას ევალება: მიწების დათესის კამპანიის მოწყობა, საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი თელი ამ საქმისა, ხოლო სამაზრო კომისიებს გათვალისწინებული ზომების სისრულეში მოყვანა ადგილობრივად.

ცენტრალური კომისია თავის მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგით;

1. უკლებლივ უნდა დათესოს ყველა სახნავი ადგილები, მათ რიცხვიდან პირველ რიგში ნოყიერი, ხოლო შემდეგ დანარჩენი მიწები.

2. მიწები უნდა დათესილ იქნეს იმ თესლით, რომელიც მცხოვრებთ აქვს დამზადებული, ხოლო იმათ, ვისაც სათესლე არ აღმოაჩნდებათ და არც მისი შეძენის საშუალება ექნება, შეიძლება იგი მიეცეს სესხად იმ პირობით მხოლოდ, რომ მან ეს სესხი დააბრუნოს პირნათესის მოკოფის შემდეგ.

3. საჭირო სათესლე მასალა უნდა შეძენილ იქნეს ნაღდ ფულზე სამაზრო კომისიების დახმარებით.

4. როგორც ცენტრალური, ისე სამაზრო კომისიები უნდა მოქმედებდნენ ადგილობრივ რევკომებთან და კომპარტიასთან შეთანხმებით, რომელნიც თავის მხრივ დახმარებას უნდა უწევდნენ მიწების დათესვის საქმეს.

5. მიწების დასამუშავებლად და სათესლე მასალის გასაწმენდად უნდა გამოყენებულ იქნეს ყველა თავისუფალი სამეურნეო იარაღი და მანქანა.

6. ყველა ის, ვინც ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების წინ აღუდგება, ან საპატიო მიზეზების გარეშე უარს იტყვის დათესვაზე, ან სათესლე მასალას და თავისუფალ იარაღებს და მანქანებს დამალვას, მიცემულ იქნება სასტიკ პასუხის გებაში რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

7. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების და მისი განვითარებისათვის ამასთანავე გამოცემულ იქნება განსაკუთრებული ინსტრუქცია.

8. ყველა დაწესებულებანი და თანამდებობის პირთ წინადადება ეძლევათ ხელი შეუწყონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების საქმეს.

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე და მიწადმოქმედების სახალხო კომისარი—ფ. მახარაძე, რევკომის მდივანი—შ. გაბრიელიძე.

1921 წ. მარტის 18-ს ქ. თბილისი—სასახლე.

საუბარი მახარაძესთან

გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბარში მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა ფ. მახარაძემ სასოფლო მეურნეობის უახლოეს მიზნების შესახებ საქართველოში განაცხადა, საქართველოში სახალხო მეურნეობის აღსადგენათ და განსაკუთრებულად მიღებულ იქნება ფრიად ენერგიული და გადაუდებელი ზომები. პირველ რიგში დგას აგრარული რეფორმა. მენშევიკების აგრარული რეფორმა არსებითად არ იყო აგრარული რეფორმა, რადგან საქართველოში ამ რეფორმის განხორციელებამ არ მოუტანა დადებითი შედეგი მშრომელ ხალხს. მიწების სულ მცირე ნაწილის გადაცემა გლეხებისათვის, განა შეიძლება აგრარულ საკითხის გადასაწყვეტად ჩაითვალოს. ფაქტიურად მიწების უმრავლესობა ძველებურად ისევ მემამულეების ხელში დარჩა. გასაგებია, რომ აგრარულ საკითხის ასეთ უმართლოდ გადაწყვეტას გლეხობა ვერ შეურიგდებოდა და აქედან იწყება გლეხების აღელვება და აჯანყება. ჩვენ—განაცხადა ამბ. მახარაძემ გადაჭრით აგრარულ საკითხის იმ სახით, როგორც ეს გადაჭრილია საბჭოთა რუსეთში. კერძო საკუთრება გაუქმებულ იქნება არა მშრომელ კლასის მემამულეებს, საეკლესიო და სხვა მიწები უფასოდ ჩამორთმეული იქნება და სახალხო საკუთრებად გამოცხადდება. ეს ზომა არ გავრცელდება წვრილ მიწადმფლობელზე. მიწადმფლობელებს, ყოფილ კერძო მესაკუთრეებს, რომელთა ხელშიაც იყო საკმაო მიწა, მიწა მათ ჩამოერთმევად და განაწილებულ იქნება თვით მშრომელ ხალხის მიერ. ამასთან მიწის გაყიდვა ან გადაცემა სხვაზე არ შეიძლება. ყველა მსხვილი მეურნეობა შენახულ იქნება ეხლანდელი სახით და საბჭოს ხელში იქნება და იქ მოეწყობა სამაგალითო მეურნეობა, რომელიც არა მარტო მაგალითი იქნება გლეხთა წვრილ მეურნეობისათვის, არამედ დახმარებას გაუწევს პირადი შემადგენლობით და სხვა. ამის შემდეგ მორიგი საქმეა სასოფლო-სამეურნეო კოშუნერის და სხვა და სხვა ფორმის არტელების შექმნა საბჭოთა რუსეთის მაგალითის მიხედვით. მე უკვე მომმართეს დახმარების აღმოსაჩენად მშრომელთა არტელების და კომუნების დაარსების მსურველებმა. ასეთ დაწყებულებას აუცილებლად ხელს შეუწყობთ სამეურნეო იარაღის მიწოდებით, თესლის მიცემით, აგრონომიულ დახმარებით და სხვა. ამავე დროს ნაჩვენები იქნება უპირატესობა სოციალისტურად მიწის დამუშავებისა დარწმუნებული ვარ, რომ აგრარული საკითხს ჩვენ გადავწყვეტთ მშრომელთა სასარგებლოდ სოციალისტური სახით მართალია არსებობს სიძნელე აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარების, მაგრამ ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება საბჭოთა რუსეთისა.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან დასაარსებლად განზრახულ კომუნალურ განყოფილებაზე შესახებ ამბ. მახარაძემ განაცხადა, რომ განყოფილების მიზანია ხელი შეუწყოს სოციალისტურ საფუძველზე სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად წარმოებას. ამგვარად მეურნეობის ხელმძღვანელობას და სხვა, რათა განვითარდეს სასოფლო მეურნეობის კოლექტიური ფორმა საზოგადო დანიშნულებისა, არტელებისა და სხვა სახით. განზრახულია განყოფილების შემწეობით მოეწყოს სოფლის კომუნალური მეურნეობა. განყოფილება ზეპირი და წერილი პროპაგანდით და აგრეთვე პრაქტიკული ზომებით, საქმით აჩვენებს, როგორ უნდა მოეწყოს მეურნეობა კომუნისტურ საფუძველზე.

ყოფილ საიჯარო მიწები, „გასაქირავებელი“ ადგილები საზაფხულო და საძოვარ ადგილებს გარდა, განაწილდება გლეხებს შორის იჯარის მოსპობით, მხოლოდ მსხვილ მოიჯარადრეებს უფლება არ ექნებათ იჯარის აღებისა კურორტების შესახებ ამბ. მახარაძემ სიტყვა, რომ კურორტები კოჯორი, ბორჯომი, აბასთუმანი, ახტალა და სხვა გადავა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხელში და თვით სახელმწიფოს მიერ იქნება გამოყენებული წითელ არმიელების, მუშების, გლეხების და მათ შვილებისთვის სანატორიუმის მოსაწყობად. შეეხო რა დაწვრილებით მესაქონლეობას და კერძოდ მეცხვარეობას და მასთან დაკავშირებულ სოფლის მეურნეობის დარგებს, ამბ. მახარაძემ განაცხადა, რომ ყველა ეს განსაკუთრებით იქნება შესწავლილი იმ აზრით, რომ აღძრული საკითხები გადაწყვეტილ იქმნან საბჭოთა რეფორმების მიხედვით. დიდი ყურადღება იქნება მიქცეული მერძეობაზე, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, რომელიც ლარიბია რძის მეურნეობით (ფერმებით). ნამეტნავად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს მეაქონლე ტომების შესახებ, როგორნიც არიან ფშაველები და ხევსურები.

რაც შეეხება საცდელ და მაჩვენებელ სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, როგორც მოტანიკურ ბაღებს, საცდელ მინდვრებს და სხვა, გადაწყვეტილი გვაქვ გადავაქციოთ ისინი სამაგალითო დაწესებულებებად ხალხის მომარაგების საქმე, სასოფლო სამეურნეო მანქანები და იარაღები დაყენებულია შედარებით კარგად, რადგან გვაქვს საკმაო რაოდენობა საჭირო იარაღებისა და მანქანებისა. ამას გარდა საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს მიიღოს საზღვარ გარეთიდან შეკვეთილი მანქანები. გარდა ამისა ხალხს გაუწევთ ფართე შემწეობას საოფლე მასალით, ხალხისთვის სასარგებლო კულტურულ მამულებს მოუვლის სახელმწიფო, იმაში ამუშავებენ უდარიბეს გლეხებს, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი მეურნეობის წარმოება ინვენტარის უქონლობის, ან უმამულობის გამო. შეეხო რა მეცვენახეობის და მეღვინეობის საკითხს, ამბ. მახარაძემ განაცხადა, რომ ყურძნის კულტურას, როგორც ხალხის კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, მხარს დაუჭერ, მხარს დაუჭერთ აგრეთვე ამ კულტურასთან დაკავშირებულ სოფლის მეურნეობის დარგებს საბჭოთა მთავრობის რეფორმების მიხედვით. სახალხო მამულების (ყოფილი საუფლისწულო მამულების) სარდაფების ღვინო ბოხმარებულ იქნება უმთავრესად საძკურნალო მიზნით. რაც შეეხება ტყეებს, ესენი მოხმარებული იქნება საბჭოთა მეურნეობის სისტემის მიხედვით. გლეხებს მიეცემათ ფართო უფლება ტყეთ სარგებლობისა თავიანთ მეურნეობისათვის. იქნება უცხოეთის კაპიტალიც მოვიხმაროთ ტყეების ექსპლოატაციისათვის საბჭოთა რუსეთის მაგალითათ. ტყეების დაცვა განადგურებისაგან მიეხდო სამაზრო რევკომმა საუბრის დასასრულს ამბ. მახარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სასოფლო სამეურნეო განათლებას. ნამეტნავად დიდ ყურადღებას მიაქცევს საზღვარ გარეთ აგრონომების მეტყეების და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების მოსაზადებას. ამ მხრივ გამოვიყენებთ საბჭოთა რუსეთის დიდ გამოცდილებას: რუსეთში დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრონომიულ განათლების საქმეში ახალ ტიპის სკოლების დაარსების საშუალებით.

ახალი ამბები

— პრეზიდენტ შალვა ნუცუბიძის ფელიხოფიური წრე ამ დღეებში დაიწყებს მეცადინობას ლექციები იქნება წაკითხული ქართულ და რუსულ ენაზე

წრის წევრთა რიცხვი განსაზღვრული. ნაწერი შეიძლება წრის მდივან სტუდ. დათიკო წერეთელთან სტუდ. სალადილო (სოლოლაკი) 2—3 და სოციალ. რედაქციაში 10—2.

—ქართველ ინტელიგენციის დევნა. საარწმუნო წყაროებიდან გვიგეთ, რომ ახალციხეში შემდარ რევკომს, დაშნაკის ყოფილი დამფუძნ. კრების წევრის, ზორიანის თავმჯდომარეობით, თითქმის ახალციხის მთელი ქართველი ინტელიგენცია დაუტუსაღებია, როგორც კონტრრევოლიუციონერები. სამოციოდე მათგანი თფილისს გაუგზავნით ახალციხიდან—ბაშურამდე ფეხით. მაგრამ იმ გარემოებისათვის, რომ დატუსაღებულნი მხოლოდ ქართველები ყოფილან, ყურადღება მიუქცევია კომპარტიის ერთ-ერთ რწმუნებულს, ტომით რუსს და ოთხი კაცის გარდა ყველანი გაუნთავისუფლებია, როგორც მსხვერპლნი უსაფუძვლოთ დაბეზღებისა.

ასე ესმით გაკომუნისტებულ დაშნაკებს—კომუნიზმი.

ქრონიკა

— რუსეთ-საქართველოს საფოსტო კონვენცია. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე კამარაული მარტის 19 ს საქართველოს სამხედრო გზით წავიდა ვლადიკავკაზს საფოსტო კონვენციის შესაკვრელად საქართველოს და რუსეთს შორის და ზოგიერთ საკითხვების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ვლადიკავკაზით ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყებასთან.

— მცხოვრებთა მომარაგება პურით. მარტის 22 ს შეწყვეტილ იქნება პურის მიცემა ხალხისთვის ნავთის ბარათებით. ქალაქის სასურსათო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა მოქალაქეთ შეერთდნენ საბინაო კომიტეტებში, თორემ წინაღმდეგ შეხვედვაში პურს ვერ მიიღებთო.

წერილი რედაქციის მიმართ

მე გავიგე, რომ თქვენი გაზეთის ნომერში 15 მარტიდან დაიბეჭდა წერილი, რომელიც მომართული იყო ჩემსა და ჩემი მეგობრის მ. ბ. როზენბერგის წინააღმდეგ და სავსე იყო გინებით და ცილის წამებით. ცხადია ვიდაცას დასჭირდა რედაქციის შეცდომაში შეყვანა აშკარა ცილის წამებით ჩვენი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ტყუილია თითქოს მე გამოვიქეცი ბოლშევიკებიდან დენიკინთან, შევიარე შემდეგ ყირიმში და საქართველოში. სინამდვილე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1918 წელს, როდესაც რუსეთის ინტელიგენციამ ბოიკოტი გამოუცხადა საბჭოთა ძალა-უფლებას, ამბ. ნოგინთან მეთანხმებით, მაშინდელ შრომის სახალხო კომისართან, მე მივიღე ჩემ თავზე მისი კომისარიატის იურისკონსულტობა. ფილტვების ავადმყოფობამ მაიძულა წავსულიყავ ყირიმში—ეს იცოდა ამბ. ნოგინმა (ჩემი ქონება და ბინა დარჩა მოსკოვში). მე მაშინვე, როგორც კი საბჭოთა სისტემა გამოცხადდა ყირიმში მე ამბ. როზენბერგთან ერთად მივიღე ჩემს თავზე საპასუხისმგებლო სამუშაო იუსტიციის კომისარიატში,

ყირიმში დენიკინის შემოსვლის დროს საბჭოთა მუშაობის ენერგიულად წარმოებისათვის ჩვენ დატყვევებულნი ვიყავით და გადაგვცეს საველე სასამართლოს, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ გაქცევა და შეუდექით არა ლეგალურ ცხოვრებას.

ამბ. როზენბერგი ჩემთან შედარებით მალე გადმოვიდა საქართველოში, მე კი დიდ ხანს ვიმალებოდი, დაუცდიდი შემთხვევას.

მეორე სიტყვა-თითქოს მე საქართველოში, თავი მენშევიკათ მომქონდა და ნოე ჟორდანიას ვეფიცებოდი მენშევიზმის მზეს. მე ძველი სოც.-დემოკრატი ვარ (1902 წლიდან) მაქვს საკმაო რევოლიუციონური სტაჟი (ციხეები კატორღა, განაჩენი სამოსამართლო პალატისა) მე ყოველთვის ვიცავდი პარტიის მთლიანობას, მაგრამ რევოლიუციის დასაწყისში ფრაქციათა შორის განხეთქილების გამო მე დავტოვე ორივე ფრაქცია და ვალიარე ჩემი თავი დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატათ.

მენშევიკათ კი ჩემი თავი არა სოდეს არ მიდიარებია.—

სიტყვა მესამე—ჩემი ბრალის დადება პოლიტიკურ ხამელეონიზმში. ძალიან ვშიშობ, რომ ბრალდების წყარო არის, რომელიმე მოხელე ყოფილი მთავრობისა უკიდურესი მტერი ბოლშევიზმისა და ამ ჟამად მშვენივრად მოწყობილი საბჭოთა სამსახურში,

მე მენშევიკი არა ვარ, მაგრამ სრულიად არა ვთვლი საძრახისად მენშევიკურ მთავრობასთან ტეხნიკურ თანამშრომლობას, და ვთვლი, ყოველშემთხვევაში, ხალხისნურათ და პატიოსანთ.—რამდენათაც ეს მუშაობა არ ეწინააღმდეგება ჩემს რწმენას. გარდა ამისა, მოხელე მე არ ვყოფილვარ, არამედ შეგვასრულე რამდენიმე მონდობილება ნ. ჟორდანიისი, წმიდა იურიდიულ ხასიათისა, მით უფრო ნაკლები საბაბი გვაქვს, მე და როზენბერგს, საბჭოთა თანამშრომელებს, რომელნიც ლამის არ დაგვხვრიტეს საბჭოთა თანამშრომლობისათვის, გვერდი აუხვიოთ კომუნისტებთან თანამშრომლობას და ვის შეუძლია საქართველოში ასეთი საყვედურით მიმართოს ვისმეს, როდესაც ქართველი ინტელიგენცია სოციალისტურისა და ბურჟუაზიულ პარტიებისა, მივიდა მათთან თანამშრომლობისათვის მთელი შემადგენლობით, და, რასაკვირველია, ქვეყნის აკეთილ დღეოთ.

მეოთხე სიტყვა,—თითქო მე და ამბ. როზენბერგმა წერილობით მივმართეთ იუსტიციის სახალხო კომისარს **საქართველოში** სასამართლოების გარდასაქმნელათ საბჭოთა სისტემაზე. სიმართლე კი ამგვარია. ერთ-ერთ ჩვენ ნაცნობ იურისტს ქალ. რევკომის წევრმა ამბ. ოლობერიძემ მიმართა თხოვნით ეკისრა ინსტრუქტორობა საბჭოთა იუსტიციის შემოსაღებათ. ამ ნაცნობმა, რადგან მას არ ქონდა გამოცდილება საბჭოთა წესის ამ დარგში მიუთითა ჩემსა და მ. ბ. როზენბერგზე, როგორც ისეთ პირებზე, რომელთაც შეუძლიათ აღმოუჩინონ შესაფერი თანამშრომლობა.

თითქმის ამავე დროს სენატის ობერ-პროკურორმა, ბ. მდივლიშვილმა, გაიგო რო ჩვენი მოღვაწეობა საბჭოთა რუსეთში, სასარგებლოთ სცნო ჩვენი მიწვევა ახალი იუსტიციის დასამუშავებლად, ვინაიდან ადგილობრივი იურიდიული ძალები მას არ იცნობდენ და შეგვახვედრა ჩვენ სასამართ. კომისრის მოადგილეს ამბ. კარტოზიას. საბჭოთა კანონმდებლობის მცოდნე და იუსტიციის სფეროში გამოცდილ პირთა არ-ყოლამ გვაიძულა ჩვენ მიგვეწოდებია ჩვენი ცოდნა და გამოცდილება სასარგებლოთ ამ-ნ ხალხი, რომელიც ჩვენ ძალიან ბევრ მათ გამოვლენებს ... ჩვენ კარგი თარი აქტიური მონაწილეობა არ მიგვიღია სასამართლოში და მის მოწყობაში. ჩვენ სახეში გვქონდა გვეკისრა და მოგვეწყო ცნობების მიმწოდებელი განყოფილებას შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისა, შემდეგ შეგვექნა მიმოხილვა იურიდიული დახმარებისა მცხოვრებთათვის, რაც აუცილებელია, რომ ხელი შეუწყოთ ხალხის გამორკვევას უფლებისა და დაწესებულებათა ახალ წყობაში, და ბოლოს,—მიგვეცა იურიდიული რჩევა-დარიგებანი საბჭოთა დაწესებულებისათვის. კომისარის მოადგილე, ამბ. კარტაზია, დაინტერესდა ამ აზრით და წინადადება მოგვცა გაგვიცხადებია ყოველივე ეს წერილებით. ვფიქრობ, რომ ვერც ერთი სალად მოაზროვნე ადამიანი, რაც გინდ შოვინისტი არ იყოს ის, ვერ იპოვის რაიმე საკვირველს და საშიშს ქართული ეროვნულ იდეისათვის ჩვენს განზრახვაში, რომ მოგვცა ახალ ყველასაგან აღიარებულ ძალა-უფლებისათვის, მისთვის საჭირო შრომა რომელიც ჩვენ უფრო გამოცდილები ვართ ვიდრე სხვები; ეს დახმარება საჭიროა მოსახლეობისთვისაც, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ, რა თქმა უნდა, ამხანაგ. ქართველების დახმარებით და ქართულ ენაზე. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ვიდაცას მოეჩვენა, რომ ის იძულებული იქნება დასტოვოს მიჩვეული ბუდე, რომელიც მან ძველი მთავრობის დროს მოიწყო.

წერილის ავტორი დაგვესხა კუთხიდან და თავისი სახელი დამალა. მე მოვითხოვ, რომ ეს იქნას დასახელებული, ვისაც არ ეშინია აშკარა ტყუილის, ნურც სამარცხვინო ბოძთან გაჩერება შეაშინებს.

მე მოვითხოვ აგრედვე, რომ გაზეთმა ბოდიში მოიხადოს ციელისმყამებელ წერილის დაბეჭდვისათვის წინაღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები გავხადო რედაქცია წერილისთვის პასუხისმგებელი.

ი. ცეცილიკმანი.

II

საკვლევი ვადასტურებ ი. ი. ცეცილიკმანის წერილის შინაარს და ვეურთდები რა ყველა მასში გამოთქმულ აზრსა და დასკვნითი მოთხოვნასაც, გთხოვთ დაბეჭდოთ რამდენიმე სიტყვა ჩემს შესახებაც.

მე არ შემეძლო „ბოლშევიკებიდან გამოქცევა“ იმ უბრალო მიზეზის გამო-რომ ოქტომბრის გადატრიალებამ მოგვისწრო მე და ჩემს ოჯახს არა მოსკოვში, არამედ ყირიმში. ამის მიუხედავად, მე რამდენჯერმე სერიოზულად შევეცადე დავბრუნებულვიყავ სახლში, ე. ი. მოსკოვში, ცენტრში, ჩემთვის თითქოს აგრე საშიშრად ბოლშევიზმისა. სხვათა შორის, ჩემის თხოვნით, ცეცილიკმანმა თავისი ძველი რეგ. ამხანაგის ა. ა. სოლცას, მოსკოვის „პრავდის“ რედაქციის წევრის, ეხლა საკანონმდებლო კომისიის მომხსენებლის კომუნისტურ პარტიის მიმდინარე კრებაზე, საშუალებით ორჯერ გამგზავნა ყირიმში განკარგულება საბჭოთა მთავრობის, რომლითაც მე და ჩემს ცოლსაც გვიწყვეტდა მოსკოვში საბჭოთა სამსახურში. გერმანელების შემოსვლამ არ მოგვცა საშუალება გავსულიყავით მოსკოვში. მას შემდეგ ცეცილიკმანთან ერთად ვმუშაობდი საბჭოთა სამსახურში.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობას, იგი იწყება ძველსა და სახელოვან „ისკრიდან“, რომელშიაც მე ვმუშაობდი ულიანოვთან, ლენინთან, ტროცკისთან და სხვებთან, რომელნიც ყველასთვის ცნობილნი არიან. ვმუშაობდი და ვმეგობრობდი აგრეთვე ნ. ჟორდანიასთან.

ყველა ამ პირებს შეუძლიან დაადასტურონ ვარ მე რევოლიუციონური მოღვაწე, თუ თფილი ადგილის მორიგბარი. შეხედულებით მე ვარ ს.-დ. ინტერნაციონალისტი; ჟორდანიის მთავრობის დროს ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებაში როგორც იურისტი და ბევრ საკითხში არ ვეთანხმებოდი მთავრობას. საბჭოთა მთავრობასთან მზათა ვარ ვიმუშავო როგორც მთელი ქართველი ინტელიგენცია, მაგრამ პასუხისმგებლობას მისი კურსის შესახებ ჩემს თავზე ვერ მივიღებ. ქამელეონი არასოდეს არ ვყოფილვარ, რადგან ჩემს შეხედულებებს არ ვფარავდი და გაბატონებულ პარტიას არ ვეკუთვნოდი.

მ. როზენბერგი.

**რედაქტორი ო